საქართველოს მთავრობის

დადგენილება №575

2018 წლის 26 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2011, 340030000.10.003.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის“:

1. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{27}“, „ჰ^{28}“, „ჰ^{29}“, „ჰ^{30}“, „ჰ^{31}“ და „ჰ^{32}“ ქვეპუნქტები:

„ჰ^{27}) ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატი საქართველოდან თივისა და ჩალის თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტისათვის (დანართი №60);

ჰ^{28}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე სანაშენე და სამომხმარებლო მსხვილფეხა პირუტყვის ექსპორტისათვის (დანართი №61);

ჰ^{29}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე მსხვილფეხა პირუტყვის დაკვლისა და გადამუშავების შედეგად მიღებული ხორცის, ხორცის ნედლეულისა და სუბპროდუქტების ექსპორტისათვის (დანართი №62);

ჰ^{30}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ფრინველის დაკვლისა და გადამუშავების შედეგად მიღებული ხორცის, ხორცის ნედლეულისა და სუბპროდუქტების ექსპორტისათვის (დანართი №63);

ჰ^{31}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ცხენის დაკვლისა და გადამუშავების შედეგად მიღებული ხორცის, ხორცის ნედლეულისა და სუბპროდუქტების ექსპორტისათვის (დანართი №64);

ჰ^{32}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე პროდუქტიული გამოზრდის, მოშენების და სხვა დანიშნულებით გამოყენების მიზნით, ცოცხალი თევზის, უხერხემლოებისა და სხვა პოიკილოთერმული წყლის ცხოველების, მათი განაყოფიერებული ქვირითის, სპერმის, ლარვის ექსპორტისათვის (დანართი №65).“.

2. **№59 დანართის შემდეგ დაემატოს თანდართული შინაარსის №60 – №65 დანართები.**

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**